სარჩევი

1. თავი

ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები

1.1 სოფლის მეურნეობის თავისებურებები და მისი როლი ქართულ ეკონომიკაში

1.2 აგრობიზნესის არსი

1.3 რას წარმოადგენს ფერმერული მეურნეობა და ვინ არის ფერმერი?

1.4 გაადგილება და სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაში

1.5 სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია

1.6 ფერმერული მეურნეობის მიმართულებისა და სიდიდის განსაზღვრა

F ფერმერული მეურნეობის მართვა

F1. ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები

1 ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვლები

1.1 სოფლის მეურნეობის თავისებურებები და მისი როლი ქართულ ეკონომიკაში

წინამდებარე თავი შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებს, აგრობიზნესის არსსა და დანიშულებას, გადაადგილებისა და სპეციალიზაციის როლს სოფლის მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართულებებს, ინტენსიფიკაციისა და სიდიდის განსაზღვრას

შეძენილი ცოდნის გამოყენება შეგეძლებათ შემდეგ პრაქტიკულ სიტუაციებში:

სიტუაცია 1 თქვენ შეძლებთ საჭირო მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას საჭირო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართულების განსასაზღვრად;

სიტუაცია 2 ასევე შეძლებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონის განსაზღვრას;

სიტუაცია 3 შეძლებთ მეურნეობის მიმართულებისა და გონივრული სიდიდის შერჩევას.

სოფლის მეურნეობის განვითარება კაცობრიობის განვითარების ადრეულ პერიოდში იღებს საფუძველს. საუკუნეების მანძილზე იგი ადამიანის საქმიანობის მთავარ დარგს წარმოადგენდა. ეს სფერო დღესაც თითქმის ყველა ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეურნეო დარგს განეკუთვნება. ტექნოლოგიური სიახლეების კვალდაკვალ სოფლის-მეურნეობამ მნიშვნელოვნად იცვალა სახე.

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მსგავსი ნიშან-თვისებები გააჩნია, რაც სხვა დარგებისთვისააცაა (მრეწველობა, ვაჭრობა და ა.შ.) დამახასიათებელი, თუმცა მას ასევე, გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გარკვეული თავისებურებები: ერთმანეთთან შერწყმული ეკონომიკური და ბუნებრივ-ბიოლოგიური კანონები, პროდუქციის წარმოების ვრცელი არეალი და სხვა დარგებთან შედარებით, მეტი დამოკიდებულება ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე, რაც თავის მხრივ, კაპიტალდაბანდებისთვის მაღალ რისკს წარმოადგენს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ახასიათებს მკვეთრი სეზონურობა, მისი კვლავწარმოების პროცესი მოითხოვს ძირითადი საბრუნავი საშუალებების (მაგალითად, სათესლე მასალა, მეცხოველეობაში საკვები ბაზის შექმნა და სხვა) დასაწყობებას ხანგრძლივი პერიოდით. სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდის ან შემცირების შემთხვევაში, შეუძლებელია მყისიერი რეაგირების მოხდენა.

განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში, ამ დარგში დასაქმებულია მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 2÷5% (დასავლეთ ევროპა,

აშშ), რაც ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის 6÷11%-ს. საქართველოში მოსახლეობის თითქმის 50% სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, მთლიან შიდა პროდუქტში მოცემული დარგის წილი 9%-ის ფარგლებშია. ეს შედეგები იმის მაჩვენებელია, რომ დარგში ადამიანური რესურსების გარდა, დაბალია სხვა რესურსების მობილიზების დონე, განსაკუთრებით ტექნოლოგიური სიახლეები.

სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, თევზჭერისა და ნადირობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში:



დიაგრამა 1-1: სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (პროცენტებში)[1]

2016 წელს მთლიანად გამოშვებული სოფლის მეურნეობის პროდუტების ღირებულებამ 3942,1 მლნ. ლარი შეადგინა, სადიანაც მეცხოველეობაზე -56% (2195,1 მლნ ლარი), მემცენარეობაზე -38% (1498,3 მლნ. ლარი), ხოლო მომსახურებაზე მხოლოდ 6% მოდის (248.8 მლნ. ლარი).

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოშვება 2016 წელს

N	დასახელება	მლნ.ლარი	%
1	ს.მ-ის პროდუქციის გამოშვება სულ	3942,1	100
2	მემცენარეობა	1498,3	38
3	მეცხოველეობა	2195,1	56
4	სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	248,8	6

ცხრილი 1-1: *სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოშვება, სულ (მლნ. ლარი, %)[2]*

1.2 აგრობიზნესის არსი

დაიმახსოვრე!

სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებულ დარგთა ერთობლიობას – აგროსამრეწველო კომპლექსი, ხოლო საბაზრო ეკონომიკის ენაზე აგრობიზნესი ეწოდება. იგი წარმოადგენს დარგთა ერთობლიობას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს საბოლოო პროდუქციის შექმნასა და მის რეალიზაციაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე სულ უფრო მზარდმა მოთხოვნამ მისი მნიშვნელოვანი სახეცვლილება და დარგის წარმოების მასშტაბების განუხრელი ზრდა გამოიწვია.. ცალკეულ მეურნეობებს სულ უფრო მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება აღარ შეეძლოთ შესაბამისად, ახალმა მოცემულობამ დარგში ისეთი საწარმოების ჩამოყალიბება გამოიწვია, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთათვის მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებას შეძლებდნენ, კერძოდ: აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, სატრანსპორტო და სასაწყობე მომსახურება, პროდუქციის გადამუშავება, რეალიზაცია და სხვა.

1 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



გრაფიკი 1-1: *აგრობიზნესიის შემადგენელი ერთეულები*

აგრობიზნესის შემადგენელი ერთეულებიდან სასოფლო-სამეურნეო ერთეულებში იგულისხმება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით სოფლის მეურნეობაში შექმნილი საწარმოები. სოფლის მეურნეობის საწარმოებს ისეთი ძირითადი საშუალებები ესაჭიროებათ, როგორიცაა ტრაქტორები, სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები და სხვა, რომელთა მომარაგებისთვის ჩამოყალიბდა და ზრდის მზარდი ტემპით ხასიათდება სოფლის მეურნეობის ძირითადი საშუალებებით მომარაგების ინდუსტრია. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის უმეტესობა მოითხოვს ქარხნულ გადამუშავებას, პროდუქციისთვის საბოლოო ფორმის მიცემას, შემდგომ საცალო ან საბითუმო ვაჭრობის სისტემების საშუალებით, პროდუქტის მომხმარებლამდე მიტანას. მომსახურების ერთეული მომსახურე დარგების ერთობლიობას აერთიანებს აქამდე განხილულ სამივე სფეროში: მელიორაცია, ზოოვეტერინარია, სატრანსპორტო, სასაწყობო, ფინანსური და სხვა მომსახურება). აგრობიზნესში უშუალოდ არ არის ჩართული, თუმცა მისი სრულყოფილი მუშაობისთვის უდიდესი მნიშნელობა ენიჭება სოციალურ ინფრასტრუქტურას (კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, საყოფაცხოვრებო და კომუნალური ინფრასტრუქტურა და ა.შ.).

1.3 რას წარმოადგენს ფერმერული მეურნეობა და ვინ არის ფერმერი?

მთელი რიგი გარემოებების გამო, სოფლის-მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბებამ და ფერმერისთვის მესაკუთრის სტატუსის მინიჭებამ. ფერმის მნიშვნელოვანი თავისებურებას წარმოადგენს მიწაზე საკუთრება და დამოუკიდებელი საწარმოო-სამეურნეო რესურსები. ფერმერული მეურნეობის არსს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (მარცვლეული, ხილი, ბოსტნეული და ა.შ.) წარმოება წარმოადგენს, როგორც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ასევე — სარეალიზაციოდ.



სურათი: 1-1

არსებობს ფერმერული მეურნეობის სხვადასხვა ფორმა. **ყველაზე გავრცელებული ფორმებია:** საოჯახო, ინდივიდუალური, ასევე გვხვდება ერთობლივი, კორპორაციული, საიჯარო და სხვა ფორმები.

სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ფერმერული მეურნეობისა და შესაბამისად, ფერმერის კონკრეტული განსაზღვრებები. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით, ფერმერად აღიარებენ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში რეალიზებული აქვს 1000 ამერიკულ დოლარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და შვეიცარიაში ფერმერობა არის პროფესია და მის მისაღებად აუცილებელია შესაბამისი განათლების მიღება. აქ ფერმერობა ითვლება ძირითად პროფესიად, თუ ფერმერის შემოსავლის დაახლოებით 85% ფერმერული საქმიანობიდან მომდინარეობს.

დაიმახსოვრე:

წარმატებული ფერმერობისთვის მნიშვნელოვანია კარგი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთობლიობა.

საქართველოში ფერმერის კონკრეტული სამართლებრივ-ეკონომიკური განმარტება ჯერ არ არსებობს, რის გამოც დარგში მოღვაწე ორგანიზაციებსა თუ მასთან დაკავშირებულ პირებს უხდებათ ფერმერის განმარტების საკუთარი „სტანდარტების“ ჩამოყალიბება.

ფერმის მართვაზე პასუხისმგებელია ფერმერი (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ფერმის მფლობელი ქირაობს მის სამართავად შესაბამის ორგანიზაციას ან პირს). ფერმერის ფუნქციები დიდად არის დამოკიდებული თვითონ ფერმის ფორმასა და სიდიდეზე.

ზოგადად, ფერმერი კარგად უნდა ერკვეოდეს შემდეგ საკითხებში:



***გრაფიკი 1-2**: მნიშვნელოვანი საკითხები ფერმერული მეურნეობის სამართავად*

როგორც დიდი, ასევე, მცირე ფერმერული მეურნეობის მფლობელსაც ესაჭიროება ჩამოთვლილი საკითხების კარგი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

1.4 გაადგილება და სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაში

დაიმახსოვრე:

გაადგილება ნიშნავს სოფლის მეურნეობის ცალკეული სახის პროდუქციის წარმოების მოცულობის განაწილებას ქვეყნის ტერიტორიაზე, ბუნებრივ-ეკონომიკური ზონებისა და რაიონების მიხედვით.

სოფლის მეურნეობაში მაღალ მოსავლიანობას, როგორც წესი, განსაზღვრავს კეთილსაიმედო ბუნებრივი პირობები, კარგი ნიადაგი და საკმარისი რაოდენობით წყლის არსებობა. თავის მხრივ, ეს პირობები განაპირობებს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიის შერჩევას და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვას.

სხვა დარგებთან შედარებით, სასოფლო–სამეურნეო წარმოების პროცესის გაადგილების განსხვავებულობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ძირითადად, ბუნებრივ–კლიმატური პირობებიდან გამომდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სტრუქტურა, პირუტყვის ჯიშებრივი შემადგენლობა, ინფრასტრუქტურის (შენობა-ნაგებობები) და ტექნიკის ტიპის განსაზღვრა.

საბაზრო ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო გაადგილების დროს გასათვალისწინებელია სამომხმარებლო ბაზრების ადგილმდებარეობა, გადამამუშავებელი მრეწველობისა და სატრანსპორტო კვანძების არსებობა.

დაიმახსოვრე:

სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობაში ნიშნავს მოცემულ ბუნებრივ ზონაში, რეგიონსა ან რაიონში განსაზღვრული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უპირატეს წარმოებას (მაგ. ხორბალი, ვაშლი, რძე, ყურძენი, კვერცხი და ა.შ.).

სასოფლო–სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული სხვადასხვა საშუალების (შხამ–ქიმიკატები, მინერალური სასუქები და ა.შ.) გარდა, სასოფლო–სამეურნეო გაადგილებაზე, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს (შეიძლება გამოიწვიოს მათი შეზღუდვა) დაცულ ტერიტორიებთან (წყალსაცავები, პარკები, ნაკრძალები და სხვა) სიახლოვე.

ზოგადად, სპეციალიზაცია საქმიანობის სხვადასხვა სახეობად დაყოფისა და განცალკევების ხარისხს გვიჩვენებს. იგი სავსებით ბუნებრივი პროცესია. რაც უფრო მაღალია საწარმოო ძალების განვითარების დონე, მით უფრო ვიწროდაა დაყოფილი და სპეციალიზებული შრომა, მაღალია ცალკეულ დარგებსა და სფეროებს შორის ურთიერთკავშირების დონე. სო-

ფლის მეურნეობაში სპეციალიზაცია ნიშნავს ერთი რომელიმე ძირითადი მიმართულების გამოყოფას და მისი განვითარებისათვის შედარებით უკეთესი პირობების შექმნას.

მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის დარგების სპეციალიზაცია ერთმანეთისგან განსხვავდება. თესლბრუნვისა და კულტურათა აგროტექნიკის გათვალისწინებით, მიწათმოქმედებაში (ძირითადად, ეს ეხება ერთწლიანი კულტურების წარმოებას) მიზანშეწონილად არ მიიჩნევა ერთ რომელიმე კულტურაზე სპეციალიზაცია. მისგან საპირისპიროდ, მეცხოველეობაში შესაძლებელია წარმოების ვიწრო სპეციალიზაცია.

მეურნეობის სპეციალიზაციის განსაზღვრისას, ფერმერთა ნაწილი, მოსალოდნელი რისკების (უამინდობა, პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების და ფასების ცვალებადობა და ა.შ.) თავიდან აცილების მიზნით, უპირატესობას ანიჭებს წარმოების ფართო სპეციალიზაციას, რომლის დროსაც შედარებით ადვილია სამუშაო ძალის გამოყენება, ასევე, უნარჩენო წარმოების ორგანიზება. წლის განმავლობაში ხდება შემოსავლების მიღება სხვადასხვა სახის პროდუქციის რეალიზაციიდან, რაც ასევე მნიშვნელოვანია. თუმცა ფერმერთა სხვა ნაწილი უპირატესობას ვიწრო სპეციალიზაციას ანიჭებს, რომლის დროსაც შრომა უფრო სპეციალიზებულია, შესაბამისად, მაღალია შრომის ნაყოფიერება. ვიწრო სპეციალიზაციის დროს, ასევე კონცენტრირებულია საწარმოს სხვა რესურსები და ზოგადად– მეურნეობის მართვის საკითხები.

სოფლის მეურნეობის გონივრული სპეციალიზაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს მიწის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების ეფექტური გამოყენება, მათი ისეთი ფორმით ურთიერთშეწყობა, რომ წარმოების ნაყოფიერება გაიზრდოს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ცნობილი არის სპეციალიზაციის შემდეგი ფორმები:

გრაფიკი 1-3: *ცნობილი სპეციალიზაციის ფორმები სასოფლო სამეურნეო წარმოებაში*

სოფლის მეურნეობის მუშაკი, სასოფლო-სამეურნეო საწარმოში, ერთი მხრივ, დაკავებულია სპეციალური მანქანა-იარაღების გამოყენებით და მეორე მხრივ, მრავალფეროვანი ცოცხალი ორგანიზმების (მემცენარეობაში, მეცხოველეობაში) მოვლა-მოყვანის ღონისძიებებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ დარგში შრომის ღრმა განაწილება სხვა დარგებისგან განსხვავებით რთულია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებისა და სპეციალიზაციის პრინციპებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბუნებრივი პირობები და დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ჩამოყალიბებული ჩვევები, თუმცა საბაზრო-ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბაზრო მოთხოვნები. ასევე მნიშველოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფო, მის ხელთ არსებულ სამართლებრივ და ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებს, საწარმოო პროცესების გაადგილებისა და სპეციალიზაციის სწორად წარმართვისათვის.

მრავალ ქვეყანაში სამართლებრივი ნორმებით იკრძალება სპეციალიზაციის ზონებში თვითნებურად ნებისმიერი კულტურისა და ჯიშის შეტანა. მაგალითად, საქართველოში „ვაზისა და ღვინის“ კანონის მიხედვით, მკაცრადაა განსაზღვრული ვაზის ჯიშების გავრცელების სამეურნეო ზონები. ეკონომიკური ბერკეტებით კი (სუბსიდირება, ფასების დაწესება და ა.შ.) ხორციელდება გაადგილებული კულტურების წარმოების სტიმულირება.

ყურადღება:

ზონური სპეციალიზაცია, *კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო ზონის (რეგიონის, რაიონის) დამახასიათებელი საწარმოო მიმართულებაა. მასში ასახულია სოფლის მეურნეობის ტერიტორიულ-გეოგრაფიული გაადგილება.*

სამეურნეო სპეციალიზაცია *არის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ცალკეული მეურნეობის განსაზღვრული სახის პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზაცია.*

შიდასამეურნეო სპეციალიზაცია *არის უშუალოდ საწარმოს შიგნით საერთო პროდუქციის წარმოებაზე შრომის დანაწილების პროცესი. იგი თავის მხრივ, იყოფა: დარგობრივ, როდესაც ცალკეული დარგები აწარმოებენ განსაზღვრული სახის პროდუქციას (მაგ. რძის, ხორცის წარმოება) და შიდადარგობრივ სპეციალიზაციად, როდესაც პროდუქციის წარმოება ნაწილდება დარგის შიგნით მეურნეობებში (მაგ. მოზარდი საქონლის გამოყვანა ერთ მეურნეობაში, მეორეში მისი გასუქება და ა.შ.).*

1.4.1 გაადგილება და ზონური ანუ ტერიტორიული სპეციალიზაცია საქართველოში

საქართველოს ტერიტორია დაყოფილია 13 ზონად და 9 ქვეზონად. თითოეულ ზონაში არსებული ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ხდება შესაბამისი პროდუქციის წარმოება.

დიდი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი) გარშემო განვითარებულია საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ზონები. აღნიშნულ ზონებში განთავსებულ ფერმერულ მეურნეობებში ძირითადად იწარმოება მალფუჭებადი და ნაკლებად ტრანსპორტირებადი პროდუქტები (რძე, ბოსტნეული, კვერცხი და ა.შ.) ქალაქის მოსახლეობის მოსამარაგებლად.

იმერეთის რეგიონი წარმოადგენს მევენახეობისა და მეცხოველეობის ზონას, რაჭა-ლეჩხუმი -მეცხოველეობისა და მესაქონლეობის, დასავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობა გაადგილებულია ონის, ლენტეხისა და მესტიის რაიონებში. კოლხეთის დაბლობი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ზონაა. აჭარის რეგიონი სუპტროპიკულ სოფლის მეურნეობასთან ერთად, გამოირჩევა სამთო მეცხოველეობის კარგი პირობებით. აფხაზეთი სუბტროპიკული და საგარეუბნო-საკურორტო სოფლის მეურნეობით გამოირჩევა. სამცხე-ჯავახეთში ხელსაყრელი პირობებია მეკარტოფილეობისა და ასევე, სამთო მეცხოველეობისთვის.

შიდა კახეთში (ახმეტა, თელავი, გურჯაანი, ყვარელი) კარგი პირობებია მევენახეობის, მემარცვლეობისა და მეცხოველეობის გასავითარებლად, გარე კახეთი (სიღნაღი, დედოფლისწყარო და საგარეჯო) კი მევენახეობასთან ერთად, წარმოადგენს მემარცვლეობა-მეცხოველეობის მნიშვნელოვან ზონას. ყვარლისა და ლაგოდეხის რიონები ასევე გამოირჩევა მეთამბაქოებისა და საადრეო მებოსტნეობის კარგი განვითარებით.

შიდა ქართლი განეკუთვნება მეხილეობისა და საგარეუბნეო სოფლის მეურნეობის ზონას, ხოლო აღმოსავლეთ კავკასიონის სამთო მეცხოველეობის ზონას მიეკუთვნება დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალგორისა და ყორნისის რაიონები.

კახეთის რეგიონი:

კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრისპირა რეგიონს წარმოადგენს — მოიცავს მდინარე ივრისა და მდინარე ალაზნის აუზებს.

რეგიონის ფართობია 11379 კმ², რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 17%-ს წარმოადგენს.

კახეთის რეგიონს ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან — აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო დასავლეთიდან — საქართველოს რეგიონები — მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი.

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, კახეთის რეგიონი მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ერთ თვითმმართველ ქალაქს — თელავს.

სულ რეგიონის შემადგენლობაშია 152 ადმინისტრაციული ერთეული და 332 სოფელი. რეგიონის მოსახლეობა დაახლოებით 319 ათასი ადამიანია.

კლიმატი — კახეთის რეგიონში გამოიყოფა სამი აგროკლიმატური ზონა: სუბტროპიკული, თბილი და ზომიერად თბილი. კლიმატის სიმკვეთრის მაჩვენებლის მიხედვით, მხარე იყოფა თხუთმეტ ქვეზონად.

ატმოსფერული ნალექების საერთო რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 600-800 მმ-ს. ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობა 210 დღეს

უდრის, ხოლო ამ პერიოდის საშუალო ტემპერატურა 18,5°C-ს. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხშირია სეტყვა, რომელიც ამა თუ იმ რაიონს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს. ზაფხულის მეორე ნახევარში დამახასიათებელია ხანგრძლივი გვალვიანი პერიოდები. ზამთარი ზომიერად ცივი, ღრუბლიანი და მცირეთოვლიანია, თუმცა, ხანგრძლივი საზიანო (18-20°C) ყინვები იშვიათია.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: ვაზი, თხილი, ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი, წიწაკა), მარცვლეული (ხორბალი, ქერი, სიმინდი), მზესუმზირა, ბაღჩეული (ნესვი, საზამთრო).



გრაფიკი 1-4: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები კახეთში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)გრაფიკი*



გრაფიკი 1-5: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება კახეთში 2016 წელს (ათასი ტონა)*

ქვემო ქართლი:

ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ჩრდილოეთი საზღვარი გადის თრიალეთის, ხოლო დასავლეთი — ჯავახეთის ქედზე, სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვარი — ქვემო ქართლის ვაკესა და ივრის ზეგანზე, დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით — შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი და ქალაქი თბილისი, აღმოსავლეთით — კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით — აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით — სომხეთის რესპუბლიკა.

ქვემო ქართლის ფართობი სულ 6,5 ათასი კმ-ია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 9,3%-ს შეადგენს. აქედან, ყველაზე მეტი ფართობი — 350 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის გამოსაყენებელ მიწას უჭირავს, 143 200 ჰა — ტყის ფონდს, ხოლო დანარჩენი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებია.

რეგიონში 7 მუნიციპალიტეტია: მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა და ქალაქი რუსთავი. სულ, რეგიონში 347 დასახლებული პუნქტია — 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი, აქედან, 100 სოფელი მაღალმთიან ზონაშია. რეგიონის ტერიტორიაზე 511,3 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც საქართველოს მოსახლეობის 11,4 %-ს შეადგენს.

კლიმატი — კლიმატური თვალსაზრისით, მხარის ტერიტორია მიეკუთვნება ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქს. ქვემო ქართლის ბარი — ღიაა აღმოსავლეთიდან, საიდანაც თავისუფლად იჭრება ჰაერის მასები, ხშირია მდინარე მტკვრის ხეობით დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასებიც. ამინდზე განსაკუთრებით მოქმედებს ამიერკავკასიის სამხრეთით განვითარებული ტალღური აღრევები, მათთან არის დაკავშირებული წლის თბილ პერიოდში უხვი ნალექები, ელჭექი და სეტყვა. დამახასიათებელია მშრალი სუბტროპიკული ჰავა. მზის ნათების ხანგრძლივობა მცირე ღრუბლიანობის გამო მაღალია (2500 სთ წელიწადში). ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12-12°C-ია, იანვრის – 0,2°C, განსაკუთრებით ცხელია ივლისი და აგვისტო (23-25°C, ზოგან მეტიც). აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა–20-25°C-ია, მაქსიმალური -40-41°C. სავეგეტაციო პერიოდში 10°C-ზე მეტ ტემპერატურათა ჯამი 3700-4200°-ია. განსაკუთრებით მშრალი და გვალვიანია მისი სამხრეთი ნაწილი. აქ აორთქლებადობა ბევრად აღემატება მოსული ნალექების რაოდენობას. თოვლის საფარი იშვიათად ჩნდება.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: ბოსტნეული (პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ხახვი, ქინძი), კარტოფილი, კაკალი, ნუში.



გრაფიკი 1-6: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები ქვემო ქართლში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-7: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება ქვემო ქართლში 2016 წელს (ათასი ტონა)*

მცხეთა მთიანეთი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. მას დასავლეთიდან შიდა ქართლი ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან — კახეთის რეგიონი, სამხრეთიდან — ქ. თბილისი და ქვემო ქართლის რეგიონი, ჩრდილოეთიდან — რუსეთის ფედერაცია (ჩრდ. ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი).

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიის საერთო ფართობი 5,8 ათასი კვ. კმ-ია. რეგიონში შედის 5 მუნიციპალიტეტი — დუშეთის, თიანეთის, ქ. მცხეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები, ორი ქალაქი — მცხეთა და დუშეთი, 5 დაბა — ჟინვალი, ფასანაური, თიანეთი, სიონი, სტეფანწმინდა და 467 სოფელი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 108 900 ადამიანს შეადგენს.

კლიმატი — რეგიონის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კონტინენტური კლიმატის ოლქს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დაბლობ ნაწილში ჰავა ზომიერად ნოტიოა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 11°C, იანვარში კი — 0°C -ზედა ბალია; მთაში მაღალმთის ზომიერად ნოტიო ჰავაა, ხოლო 3300-3400 მ-ს ზემოთ — მაღალმთის ჰავა ჭარბი თოვლითა და მყინვარებით.

ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულობით, მაისში მოდის. ზამთრობით თოვლი თითქმის მთელ რეგიონში დევს, თოვლის საფარის სიმაღლე დაბალ ზონაში უმნიშვნელოა, მაღალმთიან ნაწილში კი ცალკეულ ნაწილებში 3,5 მ-ს აღწევს. 3600 მ-ზე მაღლა მუდმივი თოვლი და მყინვარებია, ნალექები უმეტესად თოვლის სახით მოდის. ნალექების რაოდენობა წელიწადში 650-1000 მმ-ია. მდგრადი თოვლის საფარის ხანგრძლივობა 5-7 თვეა.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: კაკალი, კარტოფილი, პომიდორი, ჟოლო, მარწყვი, სიმინდი, ლობიო, საკვები ბალახები (იონჯა).



გრაფიკი 1-8: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები მცხეთა-მთიანეთში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-9: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება მცხეთა-მთიანეთში 2016 წელს (ათასი ტონა)*

შიდა ქართლი

შიდა ქართლის რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში — დიდი და მცირე კავკასიონის მთათაშორისი ბარის შუა ნაწილში მდებარეობს და ქვეყნის ტერიტორიის 9.2% უკავია. შიდა ქართლის რეგიონს აღმოსავლეთით ესაზღვრება მცხეთა-მთიანეთის, სამხერთ-აღმოსავლეთით ქვემო-ქართლის, სამხრეთ-დასავლეთით სამცხე-ჯავახეთის, დასავლეთით იმერეთის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონები. ჩრდილოეთი საზღვარი რეგიონს რუსეთის ფედერაციასთან აქვს.

დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, შიდა ქართლის რეგიონში შედის 4 მუნიციპალიტეტი (გორი, კასპი, ქარელი და ხაშური) და ერთი თვითმმართველი ქალაქი გორი, რომელიც რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია.

მუნიციპალიტეტები 372 დასახლებულ პუნქტს მოიცავს. შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობა 335.8 ათას ადამიანს შეადგენს.

კლიმატი — რეგიონის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კონტინენტური კლიმატის ოლქს.

შიდა ქართლის ვაკეებზე ზომიერად თბილი და ტენიანი (ზოგან მშრალი) ჰავაა გაბატონებული. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა ყველგან 0-ზე დაბალია. **საშუალო წლიური ტემპერატურის მაჩვენებლებია:** დაახლოებით 11 °C, შესაძლებელი მაქსიმუმია 42°C, ხოლო შესაძლებელი მინიმუმი -32°C. ქარის ენერგეტიკული რესურსი (1000 კვტ/სთ 1კმ2-ზე) — 1000-1500 ერთეულია. ნალექების რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 500 მმ-ია, მაქსიმუმი — 760 მმ, მინიმუმი — 330მმ.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: ხილი (ვაშლი, მსხალი, ბალი, ქლიავი, კაკალი), ბოსტნეული (კომბოსტო, პომიდორი), სიმინდი, მარწყვი.



გრაფიკი 1-10: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები შიდა ქართლში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-11: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება შიდა ქართლში 2016 წელს (ათასი ტონა)*

სამცხე–ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი საქართველოს სამხრეთ — აღმოსავლეთით მდებარეობს. მასში შედის სამი ისტორიული მხარე — სამცხე, ჯავახეთი და თორი. რეგიონი აჭარას, გურიას, იმერეთს, შიდა და ქვემო ქართლს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება.

რეგიონის ტერიტორია 6421 კვადატული კილომეტრია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 10.7%-ია.

რეგიონში 6 თვითმმართველი ერთეულია — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები. რეგიონული ცენტრი ქალაქი ახალციხეა. მხარეში 353 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 5 ქალაქია — ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე, ნინოწმინდა; 7 დაბა — ბაკურიანი, ახალდაბა, წაღვერი, ადიგენი, აბასთუმანი, ასპინძა. სამცხე–ჯავახეთის მოსახლეობა დაახლოებით 214,000 ადამიანია.

კლიმატი — მხარის უმეტეს ნაწილში მთიანეთის სტეპების ჰავაა, ზამთარი ცივი და მცირე თოვლიანია. სიმაღლის ზრდასთან ერთად, ზაფხული ხანმოკლე და ცივი ხდება. ერუშეთის ქედის თხემურ ზოლში ჩამოყალიბებულია ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად მშრალი

კლიმატი. უფრო მაღალ ზონაში, მესხეთის ქედზე, ნოტიო ზღვიურიდან მთის ზომიერად ნოტიო კონტინენტურზე გარდამავალი მთის ჰავაა. ტერიტორიის ძირითადი ნაწილისთვის, რომელიც ახალციხის ქვაბულის ძირზე მდებარეობს, ჰავა საკმაოდ მშრალია (მხოლოდ ფერდობები ხასიათდება ზომიერად ნოტიო კლიმატით). ნალექების წლიური რაოდენობა იზრდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: კარტოფილი, ბოსტნეული (სტაფილო, ხახვი, ნიორი, მწვანილი), ვაშლი, საკვები ბალახები (იონჯა).



გრაფიკი 1-12: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები სამცხე-ჯავახეთში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-13: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება სამცხე-ჯავახეთში 2016 წელს (ათასი ტონა)*

იმერეთი

იმერეთი საქართველოს ცენტრალური რეგიონია. ის დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს, სადაც ვერტიკალურ ჭრილში (ზღვის დონიდან 20 მეტრი სიმაღლიდან 2 850 მეტრის სიმაღლემდე), ყველა ლანდშაფტური სარტყელი გვხვდება — ნოტიო სუბტროპიკულიდან დაწყებული, ალპური მდელოებით დამთავრებული.

საქართველოს სხვა რეგიონებს შორის, იმერეთის რეგიონი, ტერიტორიის სიდიდის მიხედვით, მესამეა — სამეგრელო–ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონების შემდეგ. იმერეთის რეგიონის ფართობი 6518 კვადრატული კილომეტრია, რაც საქართველოს ტერიტორიის 19,4%-ს შეადგენს.

იმერეთის რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 704,5 ათას ადამიანს, რაც საქართველოს მოსახლეობის 15,8%-ია.

კლიმატი — რეგიონი, ძირითადად, ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში მდებარეობს და რელიეფის შესატყვისად, ჰავის სიმაღლებრივი ზონურობით (ცვალებადობით) ხასიათდება. ზემო იმერეთის ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია, იცის შედარებით ცივი და უხვნალექიანი ზამთარი.

იმერეთის დაბლობი კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს და აქ ზღვის სუბტროპიკული ჰავაა გავრცელებული. იცის რბილი, თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული. ჰაერის წლის საშუალო ტემპერატურა 11-15^{0}C გრადუსია.ნალექები წელიწადში 1300-1800 მმ-ს აღწევს

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: სიმინდი, ბოსტნეული (კიტრი, პომიდორი, მწვანილი), ბაღჩეული (ნესვი, საზამთრო), ვაზი.



გრაფიკი 1-14: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები იმერეთში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-15: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება იმერეთში 2016 წელს (ათასი ტონა)*

სამეგრელო–ზემო სვანეთი

სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონი საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩრდილოეთით — რუსეთის ფედერაცია, აღმოსავლეთით რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, ხოლო სამხრეთით გურიის რეგიონი.

სამეგრელო–ზემო სვანეთის ფართობია 7,6 ათასი კვ. კმ. დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, **რეგიონში შედის 8 მუნიციპალიტეტი** — ზუგდიდი, სენაკი, მარტვილი, აბაშა, ხობი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, მესტია და ორი თვითმმართველი ქალაქი — ზუგდიდი და ფოთი. რეგიონული ცენტრია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი და ქალაქი ზუგდიდი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობა 331 ათას ადამიანს შეადგენს.

კლიმატი — სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორია მიეკუთვნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქს, თუმცა, ტერიტორიაზე გამოიყოფა სხვადასხვა კლიმატური ზონა, ვინაიდან იგი განთავსებულია სხვადასხვა სიმაღლეზე.

ჰავის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რელიეფს, კერძოდ, მის ჰიფსომეტრულ განვითარებას. რეგიონი განფენილია ზღვის დონიდან 3200 მ–მდე, რაც განაპირობებს ჰაერის ტემპერატურის კლებას ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად. ასევე, ჰავაზე დიდი გავლენა აქვს კავკასიონის განედურ გაჭიმულ მაღალ ქედს, რომელიც თავისებურ კლიმატურ ჯებირს წარმოადგენს. ზღვის დონიდან 2000 მ. სიმაღლემდე ნოტიო ჰავაა, ზამთარი ცივია და გრძელი, ხოლო ზაფხული ხანმოკლე, თბილი და ზოგჯერ ცხელიც. საშუალო წლიური ტემპერატურაა +5,7°C, იანვარში -6,4°C, ივლისში +16,4°C.

გავრცელებული კულტურებია: თხილი, სუბტროპიკული ხილი (კივი, ხურმა, ფეიხოა), ციტრუსი (მანდარინი, ლიმონი), დაფნა, კენკროვანი კულტურები, სიმინდი.



გრაფიკი 1-16: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები სამეგრელო-ზემო სვანეთში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-17*: მრავალწლოვანი კულტურების წარმოება სამეგრელო--ზემო სვანეთში 2016 წელს (ათასი ტონა)*

რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე მდებარეობს და მაღალმთიან ზონას განეკუთვნება.

რეგიონის ფართობია 4600 კვ.კმ, რაც ქვეყნის ტერიტორიის 6,6%-ია. რეგიონი ზღვის დონიდან 400 მ-დან 4000 მ-მდე სიმაღლეზეა განლაგებული, ახასიათებს ზღვის კლიმატის ნოტიო ჰავა. დაბალმთიანეთში ზომიერად ცივზამთრიანი და შედარებით ცხელზაფხულიანი, მაღალმთიანი ზონისათვის კი უხვთოვლიანი მთის ნოტიო ჰავაა დამახასიათებელი.

რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამხრეთით — იმერეთი, აღმოსავლეთით — ცხინვალის რეგიონი, ხოლო ჩრდილოეთით — რუსეთის ფედერაცია. დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში შედის 4 მუნიციპალიტეტი (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) 65 ტერიტორიული ორგანო, 3 ქალაქი, მათ შორის ერთი თვითმმართველი ქალაქი ამბროლაური, 1 დაბა და 251 სოფელი.

რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 43,900 ათას ადამიანს, რაც საქართველოს მოსახლეობის 1,1%-ია.

კლიმატი — მხარის ტერიტორია მიეკუთვნება ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქს. რეგიონში ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლემდე

ნოტიო ჰავაა, ზამთარი ცივია და გრძელი, ხოლო ზაფხული ხანმოკლე, თბილი და ზოგჯერ — ცხელიც. რაჭის ყველაზე მაღალ ადგილებში (2000 მეტრის ზემოთ) ნამდვილ ზაფხულს მოკლებული ნოტიო და ნივალური ჰავაა. ლეჩხუმში ჰავა სიმაღლის მიხედვით იცვლება — ზღვის ნოტიო სუბტროპიკულს ცვლის ზომიერად ნოტიო და მაღალი მთის ჰავა, რომელსაც მუდმივი თოვლი და მყინვარები განაპირობებს. ქვემო სვანეთიც უქარო, ზომიერად ნესტიანი ჰავითა და ყინვებით ხასითდება.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: ვაზი, კაკალი, ვაშლი, სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, ბოსტნეული.



გრაფიკი 1-18: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-19: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში 2016 წელს (ათასი ტონა)*

გურია

გურიის რეგიონი, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ძირითადად, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. გურიის ფართობია 2033 კვ.კმ, რაც ქვეყნის ტერიტორიის 2,9%-ია.

გურიას დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით — აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აღმოსავლეთით — იმერეთის, ხოლო, ჩრდილოეთით — სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები.

რეგიონში შედის 189 დასახლებული პუნქტი — 3 მუნიციპალიტეტი (მუნიციპალური ცენტრი — ოზურგეთი), 5 დაბა და 182 სოფელი. მოსახლეობის რაოდენობა 139,8 ათასი ადამიანია.

კლიმატი — მხარე, ბუნებრივი პირობების მიხედვით, ორ, ბარისა და მთის ნაწილად იყოფა. დაბლობისთვის დამახასიათებელია ნოტიო-სუბტროპიკული ჰავა, ზომიერად ცხელი ზაფხული და ზომიერად გრილი ზამთარი. მთის ჰავისთვის დამახასიათებელია ზომიერად თბილი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. გურიის მხარის მთიანი ნაწილისთვის დამახასიათებელია ზღვისა და მთის ჰაერის შერწყმა. ამითაა გაპირობებული მხარის სამთო კურორტების სამკურნალო თვისებები.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: თხილი, სუბტროპიკული კულტურები (კივი, ხურმა, ფეიხოა), ციტრუსები (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი), ლურჯა მოცვი, სიმინდი.



გრაფიკი 1-20: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები სამეგრელო-ზემო სვანეთში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-21: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება გურიაში 2016 წელს (ათასი ტონა)*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და ერთიან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქს წარმოადგენს. ადმინისტრაციულად მას ჩრდილოეთით ოზურგეთის და ჩოხატაურის, ხოლო აღმოსავლეთით — ადიგენის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. სამხრეთით აჭარის საზღვარი საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვარს ემთხვევა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობია 2.9 ათასი კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა — 336.5 ათასი ადამიანი.

კლიმატი — სოფლის მეურნეობის სექტორზე, უმნიშვნელოვანეს ზემოქმედებას ახდენს შემდეგი კლიმატური პარამეტრები: ჰაერის ტემპერატურა, ნალექთა რაოდენობა, ყინვიან დღეთა რიცხვი და მათი სეზონური განაწილება, სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა.

აჭარის სანაპირო ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა 13-14.5°C-ს შეადგენს, ყველაზე თბილი ადგილი ბათუმია 14.5°C საშუალო ტემპერატურით. ყველაზე ცივი ადგილი გოდერძის უღელტეხილი — 2.4°C. ყველაზე ცივი თვე — იანვარი, ხოლო ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა.

ნალექების სიუხვით აჭარა საქართველოს რეგიონებს შორის პირველ ადგილზეა. მათი წლიური ჯამი სანაპირო ზონაში 3000-3500 მმ-ს, მთიან ნაწილში კი 2000-2500 მმ-ს აღწევს.

რეგიონში გავრცელებული კულტურებია: თხილი, სუბტროპიკული ხილი (კივი, ხურმა, ფეიხოა), ჩაი, ციტრუსები (მანდარინი, ლიმონი), ლურჯა მოცვი, სიმინდი და კარტოფილი.



გრაფიკი 1-22: *ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები აჭარის ა/რ-ში 2016 წელს (ათასი ჰექტარი)*



გრაფიკი 1-23: *მრავალწლოვანი კულტურების წარმოება აჭარის ა/რ-ში 2016 წელს (ათასი ტონა)*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მისი ფართობია 8700 კვ.კმ.

ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია ქალაქი სოხუმი. **მის ტერიტორიაზე 526 დასახლებული პუნქტია, მათ შორის:** 6 ქალაქი — სოხუმი, ტყვარჩელი, გაგრა, გუდაუთა, გალი, ოჩამჩირე; 5 დაბა — გულრიფში, ახალი ათონი, ბიჭვინთა, განთიადი, მიუსერა და 514 სოფელი.

აფხაზეთი ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაციას ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს. ძირითადად, მთაგორიანი მხარეა, სადაც დაახლოებით 74% მთები და მთისწინეთია, დანარჩენი ვაკე-დაბლობები.

კლიმატი — აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძირითადად, სუბტროპიკული ზონა დომინირებს. ყველაზე თბილი თვის (ივლისი-აგვისტო) საშუალო ტემპერატურა სოხუმში 24.5°C აღწევს. ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა სანაპიროზე 6°C-ია. 500-600 მეტრ სიმაღლეზე იანვრის საშუალო ტემპერატურა ყველგან 0°C-ზე მაღალია.

სეზონური ნალექიანობის მხრივ, აფხაზეთის რეგიონის ჰავა ხმელთაშუა ზღვის ჰავის ტიპს ემსგავსება, ზამთარში ნალექების მნიშვნელოვანი ნაწილი თოვლის სახით მოდის. თოვლის საფარის სისქე ზღვისპირა ზოლში 10 სმ, მთებში კი 2-4 მ-ზე მეტია.

500-600 მ სიმაღლეზე აქტიური სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 200 დღემდე გრძელდება, ხოლო 10°C-ზე მაღალი ტემპერეტურათა ჯამი 3000-3500°C-ს აღწევს, რაც სავსებით საკმარისია ბუნებრივი და კულტურული სუბტროპიკული მცენარეებისათვის.

ადგილწარმოშობის დასახელებები

როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებასა და სპეციალიზაციაზე ვსაუბრობთ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებს.

ადგილწარმოშობის დასახელება არის გეოგრაფიული ადგილის, რაიონის, რეგიონის, გამონაკლის შემთხვევაში, ქვეყნის თანამედროვე ან ისტორიული სახელი გამოყენებული იმ საქონლის მოსანიშნად:

- რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;
- რომლის განსაკუთრებული ხარისხი და თვისებები, მთლიანად ან ძირითადად, განპირობებულია მხოლოდ ამ გეოგრაფიული ადგილის ბუნებრივი გარემოთი და ადამიანის ფაქტორით;
- რომლის წარმოება, ნედლეულის დამზადება და დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

1	**ხვანჭკარა**	14	**კარდენახი**
2	**მუკუზანი**	15	**ტიბაანი**
3	**წინანდალი**	16	**ტვიში**
4	**ახაშენი**	17	**ყვარელი**
5	**გურჯანი**	18	**კოტეხი**
6	**ქინძმარაული**	19	**ნაბეღლავი**
7	**მანავი**	20	**საირმე**
8	**კახეთი (კახური**	21	**ბორჯომი**
9	**ნაფარეული**	22	**მიტარბი**
10	**თელიანი**	23	**უწერა**
11	**ატენი (ატენური)**	24	**სქური**
12	**სვირი**	25	**ბოლნისი**
13	**ვაზისუბანი**	26	**ზვარე**

ცხრილი 1-2: *საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებები*

გეოგრაფიული აღნიშვნები

გეოგრაფიული აღნიშვნა არის სახელი ან სხვა რაიმე სიმბოლო, რომელიც მიუთითებს გეოგრაფიულ ადგილზე და გამოყენებულია წარმოებული საქონლის მოსანიშნად:

1. რომელიც წარმოშობილია ამ გეოგრაფიული ადგილიდან;
2. რომლის სპეციფიკური ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები დაკავშირებულია ამ გეოგრაფიულ ადგილთან;
3. რომლის წარმოება ან ნედლეულის დამზადება ან დამუშავება ხდება ამ გეოგრაფიული ადგილის საზღვრებში.

1	ჭაჭა	11	სვანური სულგუნი
2	ჩურჩხელა	12	კობი
3	ჩოგი	13	გუდა
4	მაწონი	14	თუშური გუდა
5	ტენილი	15	იმერული ყველი
6	ქართული ყველი	16	დამბალხაჭო
7	აჭარული ჩლეჩილი	17	მაჭახელას თაფლი
8	მესხური ჩეჩილი	18	ახალქალაქის კარტოფილი
9	მეგრული სულგუნი	19	ტყიბულის მთის ჩაი
10	სულგუნი	20	ქუთაისის მწვანილი

ცხრილი 1-3: *საქართველოში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნები*

საქართველოში საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციასთან, დაცვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“.



გრაფიკი 1-24: *სოფლის მეურნეობა*

1.4.2 ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები და მრვალწლიანი კულტურების წარმოება საქართველოში

საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობები კახეთის რეგიონშია (78,5 ათასი ჰექტარი), რაც ქვეყნის მთლიანი ნათესი ფართობების დაახლოებით 33%-ია. ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელოსა და შიდა ქართლის რეგიონების ნათესი ფართობების მოცულობები ერთმანეთთან ახლოს დგას და თითოეული მათგანის წილი საქართველოს მთლიან მაჩვენებელში უახლოვდება 12%-ს.

რანგი	რეგიონი	ათასი ჰექტარი	წილი %
1	კახეთი	78,5	32,7%
2	ქვემო ქართლი	31,0	12,9%
3	იმერეთი	30,0	12,5%
4	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	29,2	12,2%
5	შიდა ქართლი	28,0	11,7%
6	სამცხე ჯავახეთი	24,0	10,0%
7	გურია	7,9	3,3%
8	მცხეთა თიანეთი	5,5	2,3%
9	აჭარის ა/რ	4,4	1,8%
10	რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი	1,2	0,5%
11	თბილისი	0,3	0,1%
—	**საქართველო სულ**	**240,0**	**100,0%**

ცხრილი 1-4: *ნათესი ფართობების სტრუქტურა საქართველოში 2016 წელს რეგიონების მიხედვით*

ხილის წარმოების მოცულობით გამოირჩევა შიდა ქართლის რეგიონი. რეგიონში წარმოებული ხილის მოცულობა 70 ათას ტონამდეა (37,5%), საიდანაც მნიშვნელოვანი წილი ვაშლის წარმოებაზე მოდის.

კახეთის რეგიონში ხილიდან ძირითადად ატამი და ვაშლატამა იწარმოება. ამ რეგიონზე მთლიანად ქვეყანაში წარმოებული ხილის 20,5% მოდის.

რანგი	რეგიონი	ათასი ტონა	წილი %
1	შიდა ქართლი	69,9	37,5%
2	კახეთი	38,3	20,5%
3	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	26,5	14,2%
4	გურია	12,5	6,7%
5	იმერეთი	11,8	6,3%
6	აჭარის ა/რ	9,8	5,3%
7	ქვემო ქართლი	9,5	5,1%
8	სამცხე ჯავახეთი	3,3	1,8%
9	მცხეთა თიანეთი	3,1	1,7%
10	რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი	1,0	0,5%
11	თბილისი	0,8	0,4%
—	**საქართველო სულ**	**186,5**	**100,0%**

ცხრილი 1-5: *ხილის წარმოება რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

ციტრუსის წარმოების მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ლიდერობს, მასზე ქვეყანაში წარმოებული ციტრუსის 60,5% მოდის (39,6 ათასი ტონა).

რანგი	რეგიონი	ათასი ტონა	წილი %
1	აჭარის ა/რ	39,6	60,5%
2	გურია	22,4	34,2%
3	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	3,1	4,7%
4	იმერეთი	0,4	0,6%
—	**საქართველო სულ**	**65,5**	**100,0%**

ცხრილი 1-6: *ციტრუსის წარმოება რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

ყურძნის წარმოების უპირობო ლიდერი კახეთის რეგიონია, სადაც 111 ათასი ტონა ყურძენი იწარმოება (70 %-მდე). მას მოჰყვება იმერეთი 21,7 ათასი ტონით და შიდა ქართლი 8,4 ათასი ტონით.

რანგი	რეგიონი	ათასი ტონა	წილი %
1	კახეთი	111,0	69,7%
2	იმერეთი	21,7	13,6%
3	შიდა ქართლი	8,4	5,3%
4	მცხეთა თიანეთი	3,9	2,4%
5	ქვემო ქართლი	3,4	2,1%
6	რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი	2,8	1,8%
7	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	2,4	1,5%
8	გურია	2,0	1,3%
9	აჭარის ა/რ	1,5	0,9%
10	თბილისი	1,2	0,8%
11	სამცხე ჯავახეთი	1,0	0,6%
—	**საქართველო სულ**	**159,3**	**100,0%**

ცხრილი 1-7: *ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

ჩაის ფოთოლი დასავლეთ საქართველოს მხოლოდ 4 რეგიონში იწარმოება. ეს კულტურა ყველაზე დიდი რაოდენობით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია წარმოდგენილი, სადაც 2016 წელს 1,1 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი იქნა წარმოებული.

რანგი	რეგიონი	ათასი ტონა	წილი %
1	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	1,1	36,7%
2	აჭარის ა/რ	0,8	26,7%
3	იმერეთი	0,7	23,3%
4	გურია	0,4	13,3%
—	**საქართველო სულ**	**3,0**	**100,0%**

ცხრილი 1-8: *ჩაის ფოთლის წარმოება რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

1.4.3 მეცხოველეობა საქართველოში რეგიონების მიხედვით

ღორის სულადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, სადაც ქვეყანაში დაფიქსირებული მთლიანი სულადობის 25%-მდეა თავმოყრილი (33,1 ათასი სული).

რანგი	რეგიონი	ათასი სული	წილი %
1	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	33,1	24,3%
2	კახეთი	25,5	18,7%
3	ქვემო ქართლი	22,6	16,6%
4	იმერეთი	19,0	13,9%
5	დანარჩენი რეგიონი	17,0	12,5%
6	შიდა ქართლი	9,9	7,3%
7	სამცხე ჯავახეთი	9,2	6,7%
—	**საქართველო სულ**	**136,3**	**100,0%**

ცხრილი 1-9: *ღორის სულადობა რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

მეღორეობის მსგავსად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი გამოირჩევა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობითაც, სადაც 190 ათას სულამდე პირუტყვია თავმოყრილი (20 %-მდე მთლიანი სულადობის). ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა იმერეთი – 171,4 ათასი სულით. მას მოჰყვება ქვემო ქართლი 148,9 ათასი სულით.

რანგი	რეგიონი	ათასი ტონა	წილი %
1	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	190,8	19,8%
2	იმერეთი	171,4	17,8%
3	ქვემო ქართლი	148,9	15,5%
4	სამცხე ჯავახეთი	116,2	12,1%
5	კახეთი	97,2	10,1%
6	აჭარის ა/რ	70,3	7,3%
7	შიდა ქართლი	62,2	6,5%
8	გურია	48,5	5,0%
9	მცხეთა თიანეთი	34,8	3,6%
10	რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი	18,5	1,9%
11	თბილისი	3,9	0,4%
—	**საქართველო სულ**	**962,7**	**100,0%**

ცხრილი 1-10: *მსხვილფეხა – რქოსანი პირუტყვის სულადობა რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

ქვეყანაში დაფიქსირებული მთლიანი ცხვრის სულადობის (876 ათასი სული) 55% თავმოყრილია კახეთის რეგიონში (482 ათასი სული). მეცხავრეობის მოცულობის მხრივ, ასევე მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს ქვემო ქართლში, სადაც 2016 წელს იყო 203,7 ათასი სული ცხვარი (მთლიანი სულადობის 23,3 %).

რანგი	რეგიონი	ათასი სკა	წილი %
1	კახეთი	482,0	55,0%
2	ქვემო ქართლი	203,7	23,3%
3	სამცხე ჯავახეთი	71,8	8,2%
4	მცხეთა-თიანეთი	61,7	7,0%
5	იმერეთი	27,4	3,1%
6	შიდა ქართლი	22,0	2,5%
7	დანარჩენი რეგიონი	7,4	0,8%
—	**საქართველო სულ**	**876,0**	**100,0%**

ცხრილი 1-11: *ცხვრის სულადობა რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

ფუტკრის ოჯახების რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზეა კახეთი 45,4 ათასი სკით, მეორე ადგილზეა იმერეთი 41,9 ათასი სკით, მას მოყვება სამეგრელო-ზემო სვანეთი 28,2 ათასი სკით, რაც საერთო ჯამში, საქართველოში სკების მთლიანი რაოდენობის 50 %-ზე მეტია.

რანგი	რეგიონი	ათასი სკა	წილი %
1	კახეთი	45,4	22,1%
2	იმერეთი	41,9	20,4%
3	სამეგრელო-ზემო სვანეთი	28,2	13,7%
4	დანარჩენი რეგიონი	27,4	13,3%
5	ქვემო ქართლი	20,2	9,8%
6	სამცხე ჯავახეთი	17,9	8,7%
7	აჭარის ა/რ	14,1	6,9%
8	შიდა ქართლი	10,2	5,0%
—	**საქართველო სულ**	**876,0**	**100,0%**

ცხრილი 1-12: *ფუტკრის ოჯახების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2016 წელს*

ფრინველის საერთო რაოდენობის 42 %-მდე თავმოყრილია ქვემო ქართლში (3454,7 ათასი ფრთა). მას მოსდევს კახეთი და იმერეთი, შესაბამისად, 1186,8 და 1007,7 ათასი ფრთით. ყველაზე მცირე რაოდენობით ფრინველი ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 48,6 ათასი ფრთა, რაც მთლიანი სულადობის მხოლოდ 0,6 %-ია.

რანგი	რეგიონი	ათასი ფრთა	წილი %
1	ქვემო ქართლი	3454,7	41,9%
2	კახეთი	1186,8	14,4%
3	იმერეთი	1007,7	12,2%
4	სამეგრელო-ზმ. სვანეთი	876,7	10,6%
5	შიდა ქართლი	446,0	5,4%
6	თბილისი	422,5	5,1%
7	გურია	292,3	3,5%
8	მცხეთა თიანეთი	223,0	2,7%
9	სამცხე ჯავახეთი	193,1	2,3%
10	აჭარის ა/რ	86,4	1,0%
11	რაჭა-ლეჩხუმი-ქვ.სვანეთი	48,6	0,6%
—	**საქართველო სულ**	**8237,8**	**100,0%**

ცხრილი 1-13: ფრინველის რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2016 წელს

1.5 სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითად საფუძვლებს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორების, განსაკუთრებით მიწის ფონდის შეზღუდულობა, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

პროდუქციის რაოდენობის ზრდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში შესაძლებელია, როგორც საწარმოო საშუალებების (მიწა, ფერმის სიდიდე, პირუტყვის სულადობა და ა.შ.) გაზრდით, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ექსტენსიურ გზას წარმოადგენს, ასევე არსებული საწარმოო ფაქტორების ეფექტურად გამოყენებით, რაც თავის მხრივ, განვითარების ინტენსიური ფორმაა. წარმოების ფაქტორების ეფექტურად გამოყენებაში იგულისხმება, ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების მაქსიმალური გამოყენება, მაღალმოსავლიანი კულტურებისა და მაღალპროდუქტიული პირუტყვის ჯიშების გამრავლება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, თავის მხრივ, საჭიროებს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენებას, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის პროცესის განუწყვეტელ სრულყოფას.

მეურნეობის ინტენსიფიკაციის დონის ამაღლების ცნობილი მიმართულებებია: ქიმიზაცია, წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, მელიორაცია, ბიოლოგიზაცია და შედარებით ბოლო დროს განვითარებული გენური ინჟინერია. წარმოების ინტენსიფიკაცია, მისი ეკონომიკური მიზნების მიღწევასთან ერთად, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს გარემოს დაცვის მნიშვნელოვან საკითხებს (მაგალითად, მინერალური სასუქების გამოყენების დონე, მექანიზაციის დროს გამონაბოლქვის დონე და ა.შ.). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინტენსიფიკაციის ახალი მიმართულება, როგორიცაა გენური ინჟინერია მოითხოვს საკითხის სრულყოფილ შესწავლას და ფრთხილი გადაწყვეტილებების მიღებას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, გენური ინჟინერიის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, დღესდღეობით ნებადართულია მხოლოდ ერთ ქვეყანაში (ესპანეთი), დანარჩენ ქვეყნებში იგი აკრძალულია. მოცემული საქმიანობა სოფლის-მეურნეობაშ კანონით საქართველოშიც აკრძალულია.

დაიმახსოვრე:

ინტენსიფიკაცია წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ხდება წარმოებაში თანამედროვე და პროგრესული მიღწევების დანერგვა, რაც დანახარჯებს ზრდის თუმცა, ამავდროულად, იზრდება წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და უმჯობესდება მისი ხარისხი, რასაც საბოლოოდ, მივყავართ რეალიზებული პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებასთან.



გრაფიკი 1-25: *სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციაზე მოქმედი მთავარი ფაქტორები*

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, წარმოების ინტენსიფიკაცია მრავალმხრივი პროცესია. შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა. ცალკე აღებულ რომელიმე მათგანს წარმოებაზე და საწარმოს ეკონომიკურ შედეგიანობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ინტენსიფიკაციის დონის გამოთვლა შემდეგნაირად ხორციელდება:

	ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებას დამატებული საწარმო დანახარჯების ჯამი (ამორტიზაციის გარეშე)
/	მიწის ფართობი
=	სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ინტენსიფიკაციის დონე

მიღებული შედეგი მრავლება 100-ზე პროცენტული გამოსახულების მიღების მიზნით. ფორმულაში ასახულია ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საწარმოო დანახარჯების ჯამის თანაფარდობა მიწის ფართობთან. აღნიშნული ფორმულით შესაძლებელია, როგორც მთლიანი ფერმერული მეურნეობის ჯამური ინტენსიფიკაციის დონის დადგენა (ამ შემთხვევაში მნიშვნელში შევიტანთ მეურნეობის განკარგულებასა და დამუშავებაში მყოფ ყველა მიწის ფართობს), ასევე მისი ცალკეული მიმართულებისთვის აღნიშნული მაჩვენებლის განსაზღვრა (მნიშვნელში შეგვაქვს მხოლოდ შერჩეული მიმართულების განკარგულებასა და დამუშავებაში მყოფი მიწის ფართობი).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის დონის განსაზღვრა შესაძლებელია სხვა მეთოდებითაც, როგორიცაა ფონდუზრუნველყოფის მაჩვენებელი, ფართობის ერთეულზე ცოცხალი შრომის დანახარჯების თანაფარდობა და სხვა.

1.6 ფერმერული მეურნეობის მიმართულებისა და სიდიდის განსაზღვრა

თითოეულმა ფერმერმა უნდა განსაზღვროს მის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანები: რა ვაწარმოო? რა რაოდენობით? როგორ? სად გავყიდო? და ა.შ. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისთვის უნდა მოახდინოს მის ხელთ არსებული ძირითადი საწარმოო რესურსების შეფასება და ყურადღება მიაქციოს შემდეგ ძირითად საკითხებს:

მიწა

მიწის სახეობა, მოცულობა, დანაწევრებისა და მდებარეობის საკითხი, წყლით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, რა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას შეესაბამება და ა.შ.

შრომა

საქმიანობის სახეების მიხედვით, განისაზღვროს შრომითი დატვირთვის სქემა სრულ სამეურნეო წელიწადზე, შრომის სახეობა (მისი სირთულე), არსებული შრომითი რესურსებისა და შესასრულებელი სამუშაოს ურთიერთშესაბამისობა. გათვალისწინებული უნდა იყოს, უშუალოდ ფერმერის კვალიფიკაცია და შესაბამისობა განსახორციელებელ სამუშაოების მიმართ, შრომაზე დანახარჯების სტრუქტურა.

კაპიტალი

საქმიანობის სახეობის მიხედვით, განისაზღვროს კაპიტალის სრული მოცულობა და მისი საჭირობის გრაფიკი მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში. შეფასდეს არსებული კაპიტალური რესურსი და მისი მოზიდვის შესაძლებლობის პირობები.

გრაფიკი 1-26: *ძირითადი საწარმო რესურსები და მათი შეფასება*

ძირითად საწარმოო რესურსებთან ერთად, აუცილებლად უნდა განხორციელდეს, საქმიანობის მიმართულებების მიხედვით, საჭირო აღჭურვილობის, მექანიზაციის, ძირითადი შენობა-ნაგებობებისა თუ დამხმარე სათავსოების არსებობისა და მათი საქმიანობასთან შესაბამისობის შეფასება. უპირატესობის პრინციპით საჭიროა, განისაზღვროს ოპტიმალური დარგები და მათი შეწყობა. თუმცა ყოველივე აზრს კარგავს, თუ არ განხორციელდება პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრის წინასწარი შესწავლა და მნიშვნელოვანი საკითხების დადგენა: რა სახეობის პროდუქტი, რა ფასად და რა რაოდენობით არის მოთხოვნადი.

მეურნეობის სიდიდის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია ზემოთ მოყვანილი საკითხების გათვალისწინება. ზოგადად ცნობილია, რომ მსხვილი წარმოების შემთხვევაში შესაძლებელია რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენება, შედარებით ძვირადღირებული და მაღალი მწარმოებლობით გამორჩეული აღჭურვილობის, მექანიზაციის და ტექნოლოგიების დანერგვა. მეურნეობის სიდიდეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი სპეციალიზაცია, ინტენსიფიკაციის დონე, საწარმოო მიმართულება და სხვა.

თითოეული ფერმერული მეურნეობის მიხედვით, მნიშვნელოვანია მისთვის დამახასიათებელი ფაქტორების გათვალისწინებით, შეირჩეს საწარმოო მიმართულებების არა მასშტაბური და დიდი, არამედ საუკეთესო მოცულობა.

კითხვები შემოწმებისთვის:

- რას ეწოდება აგრობიზნესი და რომელ მთავარ შემადგენელ ერთეულებს აერთიანებს იგი?
- რას ნიშნავს ფერმერობა და რა სახის საკითხებში უნდა ერკვეოდეს ფერმერი კარგად?
- აღწერეთ გაადგილების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში?
- რას ეწოდება სპეციალიზაცია? ჩამოთვალეთ და განმარტეთ სპეციალიზაციის ცნობილი ფორმები.
- რას ეწოდება ინტენსიფიკაცია? დაახასიათეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციაზე მოქმედი მთავარი ფაქტორები.
- რა საკითხების გათვალისწინებით ხდება ფერმერული მეურნეობის მიმართულებისა და მისი სიდიდის განსაზღვრა?

დავალებები გავლილი მასალის გასამტკიცებლად:

- მოიძიეთ ინფორმაცია თქვენს რეგიონში (რაიონში), მნიშვნელოვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესახებ (სიმაღლე ზღვის დონიდან, ნიადაგის სახეობები, ნალექიანობის მაჩვენებელი, ტემპერატურა და ა.შ.). მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრეთ ის სასოფლოსამეურნეო მიმართულებები, რომელთა განვითარებაც ხელსაყრელია.
- შეარჩიეთ თქვენს რეგიონში არსებული წარმატებული სასოფლო-სამეურნეო მეურნეობა, შეისწავლეთ მასში არსებული ძირითადი და დამხმარე რესურსები. მათი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ჩამოაყალიბეთ თქვენი რეკომენდაციები, მეურნეობაში დარგთა შეწყობისა და საუკეთესო მოცულობის შესახებ. რეკომენდაციების დროს გაითვალისწინეთ ბაზრის მოთხოვნა.

სასწავლო კურსის მიზანი:

სასწავლო კურსის მიზანია მსმენელმა შეისწავლოს აგრობიზნესის ფორმირებისა და განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები. ქვეყანაში რეგიონულ და რაიონულ ჭრილში განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგები, მათი გაადგილებისა და სპეციალიზაციის საფუძვლები. სასოფლო სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მიმართულებისა და სიდიდის განსაზღვრის მნიშვნელოვანი საკითხები.

სწავლის შედეგი:

სასწავლო კურსის წარმატებით გავლის შემდეგ მსმენელი შეძლებს, განსაზღვროს რეგიონში განვითარებული სოფლის მეურნეობის დარგები, დაასაბუთოს მათი გაადგილება და სპეციალიზაცია. მსმენელი ასევე განსაზღვრავს სასოფლო სამეურნეო საწარმოს ინტენსიფიკაციის დონეს, მის მიმართულებასა და სიდიდეს.